პროფიციტული, მაგრამ ტრადიციულად დეფიციტური

გაზეთი “National Business” – 21-28 იანვარი, № 003 (10), 2008

2008 წლის ბიუჯეტი ფისკალურად პროფიციტულია, მაგრამ მონეტარულად – დეფიციტური. ეს შეფასება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ლადო გურგენიძეს ეკუთვნის.

პრემიერის განცხადების არსს პრინციპულად ეთანხმება პარლამენტარი ლადო პაპავა, თუმცა სიტუაციის ზუსტი შეფასებისთვის იუმორს იშველიებს: საზღვარგარეთ განსწავლული ახალგაზრდა დაბრუნდა საკუთარ სოფელში. როცა ოჯახი მაგიდას მიუსხდა, მამამ ჰკითხა შვილს, რა ისწავლე საზღვარგარეთ, თავს რითი მოიწონებო? შვილმა უპასუხა, ისეთი ლოგიკა მასწავლეს, რომ დაგიმტკიცებ, სუფრაზე ერთი კი არა, ორი ქათამი დევსო. გაკვირვებულმა მამამ შვილი ასე „დაამშვიდა“, ამ ქათამს მე შევჭამ და რასაც ლოგიკურად დაასაბუთებ შენი იყოსო.

„ყოვლისშემძლე ლოგიკა“ ამ შეთხვევაში ბიუჯეტის დაგეგმვის ის ახალი მეთოდოლოგიაა, რომელიც საქართველოს მთავრობამ წელს პირველად გამოიყენა და პირველი პროფიციტული ბიუჯეტიც მიიღო.

გვესაუბრება პარლამენტის წევრი, ბატონი ლადო პაპავა.

– 2008 წლის ბიუჯეტი აგებულია პრინციპულად ახალი კლასიფიკაციით, რომელიც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომლის მიხედვითაც დგება ბიუჯეტი. ანგარიშსწორების თვალსაზრისით, როგორც უნდა აღირიცხებოდეს შემოსავლები და ხარჯები,

სწორედ ისეთ საფუძველს ეყრდნობა ახალი კლასიფიკაცია. ეს არის აღრიცხვის თვალსაზრისით უფრო სწორი მეთოდოლოგია. ძველი კლასიფიკაციით, არაფინანსური აქტივები აღირიცხებოდა ხარჯებში. ახლა ის აღირიცხება შემოსავლებში. შეიძლება მოვიტანოთ ასეთი შედარება: გვაქვს კარგად შეფუთული კანფეტების ყუთი, რომელსაც როცა გახსნი, ნახავ, რომ ყველაფერი ერთნაირად გემრიელი არ არის. რეალურად უნდა დავაფიქსიროთ, რომ ბიუჯეტში გვაქვს სერიოზული ზრდა. ახალი კლასიფიკაციით წინა წელთან შედარებით შემოსავლები გაიზარდა 895 მილიონი ლარით, ძველი კლასიფიკაციით კი – მხოლოდ 420 მილიონით.

– რომელია სწორი?

– შინაარსობრივად, ზრდა შეადგენს 420 მილიონს. ესეც დიდი ციფრია, მაგრამ იგი 895 მილიონი არ არის. რეალურად თუ შევხედავთ ბიუჯეტს, ანუ იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც აიგებოდა აქამდე, ვნახავთ, რომ თვისობრივად განსხვავებული სურათი გვაქვს. მკითხველისთვის რომ მკვეთრად თვალსაჩინო იყოს, გავიმეორებ მარტივ ჭეშმარიტებას – სახელმწიფო ბიუჯეტი ეს არის სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების ბალანსი, ერთ მხარეს არის ჩამოწერილი სახელმწიფოს მიერ მისაღები შემოსავლები და მეორე მხარეს – ხარჯები. თუ ეს ნაწილები ტოლია, ბიუჯეტი არის სრულად დაბალანსებული, თუ შემოსავლები აღემატება, იქნება პროფიციტული და პირიქით, დეფიციტურია, თუ ხარჯები მეტია შემოსავლებზე.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც, თუ რა ითვლება შემოსავლებად? აქ იგულისხმება როგორც საგადასახადო, ისე სხვა, არასაგადასახადო შემოსავლები. მაგრამ არის ისეთი შემოსავლებიც, როგორიც არის კაპიტალური, რომელიც ყოველთვის პრობლემატურია, თუ სად უნდა აისახებოდეს. ლაპარაკია უპირველესად პრივატიზციიდან მიღებულ შემოსავლებზე. აქედან მიღებული თანხების ხარჯვას ეკონომიკაზე ზუსტად ისეთივე გავლენა აქვს, როგორც დეფიციტის წყაროების ხარჯვას, ანუ თავისი ბუნებით ის ინფლაციურია.

ეკონომიკური თეორია გვეუბნება, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, როგორც ერთჯერადი, უნდა აისახოს ბიუჯეტის დეფიციტში. რეალურად და ტრადიციულად საქართველოში ამ თანხების ასახვა ხდებოდა

შემოსავლებში. პრაქტიკულად რა დეფიციტიც ფიქსირდებოდა, ხდებოდა მისი მნიშვნელოვანი შემცირება.

– უფრო კონკრეტულად, ციფრებში როგორ გამოისახებოდა ეს შემცირება?

– გასაგები რომ იყოს, მოვიყვან ასეთ მაგალითს: გასული წლის ბიუჯეტში დეფიციტი იყო 374 მილიონ ლარზე მეტი, მაგრამ პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, რომელიც გათვალისწინებული იყო შემოსავლებში, შეადგენდა 540 მილიონ ლარზე მეტს. ეს ნიშნავს, რომ 2007 წლის ბიუჯეტში სინამდვილეში დეფიციტი ყოფილა არა 374 მილიონი, არამედ პლუს 540, ანუ 914 მილიონი ლარი.

როდესაც მთავრობა გადავიდა ახალ კლასიფიკაციაზე, რეალურად გაძნელდა იმის დანახვა, თუ რა ხდება სინამდვილეში ბიუჯეტში და რამდენია დეფიციტი.

დეკემბრის ბოლოს, როცა ფინანსთა მინისტრმა პარლამენტს წარუდგინა ახალი ბიუჯეტი, მაშინ გაიჟღერა აზრმა, რომ ბიუჯეტი პირველად არის პროფიციტუტი. პროფიციტი შეადგენს 275 ათას ლარს.

– თქვენ თუ ეთანხმებით ამ აზრს?

– ეს ბიუჯეტი არ არის პროფიციტული. ის პროფიციტულია მხოლოდ აღრიცხვის თვალსაზრისით. იმ მეთოდოლოგიითაც, როცა პრივატიზაციიდან მიღებული თანხები აღირიცხება შემოსავლებში, გამოდის, რომ ბიუჯეტი მაინც დეფიციტურია. დასახმარებლად მივმართეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, რომელსაც ვთხოვეთ შედარებითი ანალიზის გაკეთება, ანუ ახალი ბიუჯეტი გადაყვანილი ყოფილიყო ძველ მეთოდოლოგიაში. აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტი არის დეფიციტური და ეს ციფრი შეადგენს 189 მილიონ ლარს. შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებელი თითქმის განახევრებულია, მაგრამ ბიუჯეტი მაინც არის დეფიციტური.

კიდევ ერთ მომენტზე მინდა გავამახვილო ყურადღება: პრემიერ-მინისტრმა არა ერთხელ განაცხადა, რომ შეიქმნება მომავალი თაობების ფონდი, სადაც აისახება პროფიციტის თანხები. ამ ფოდში აკმულირებული თანხები დღეს კი არ დაიხარჯება, არამედ სამომავლოდ. პრემიერ-მინისტრი დაგვპირდა, რომ მალე შემოიტანს პარლამენტში კანონპროექტს ამ ფონდის

შესახებ. ახლა დგება საკითხი, საიდან შევა თანხები ამ ფონდში, თუ სინამდვილეში ბიუჯეტი დეფიციტურია?

მე თუ მკითხავთ, მნიშვნელობა არა აქვს, რას როგორ აღვიქვამთ. მთავარია, რას რა შინაარსი აქვს სინამდვილეში.

– მაგრამ მთავრობამ იცის, რომ ბიუჯეტი დეფიციტურია.

– პრემიერ-მინისტრმა თვითონაც შესანიშნავად იცის, რომ 2008 წლის ბიუჯეტი პროფიციტული არ არის. ამიტომ ფონდის შევსება 2009 წლიდან იგეგმება. შესაძლოა, ეს იყო წინასაარჩევნო განაცხადი, რომ 2008 წელს პირველად გვექნებოდა პროფიციტული ბიუჯეტი. სინამდვილეში ეს არის დეფიციტური ბიუჯეტი და თუ მივიღებთ კანონს „მომავლის ფონდის“ შესახებ, რასაც თავისთავად მივესალმები, გაუგებარია, რა თანხებით შეივსება იგი.

თუ მთავრობა მოახერხებს, რომ თუნდაც 2009 წლიდან მაინც გვექნება პროფიციტული ბიუჯეტი, ეს მართლაც კარგი იქნება, მაგრამ ამჯერად ჩვენი ბიუჯეტი დღეს დეფიციტურია.

ნინო ბერიძე